

## **32003L0086**

**საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის დირექტივა 2003/86/EC ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ**

*ოფიციალური ჟურნალი L 251 , 03/10/2003 P. 0012 - 0018*

საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის

დირექტივა 2003/86/EC

ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ

ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა, ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას, კერძოდ, მისი 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს ,

ითვალისწინებს რა, ევროკომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას (1),

ითვალისწინებს რა, ევროპარლამენტის მოსაზრებას (2)

ითვალისწინებს რა, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას (3),

ითვალისწინებს რა, რეგიონების კომიტეტის მოსაზრებას (4),

ვინაიდან:

(1) თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სივრცის ეტაპობრივად შექმნის მიზნით, ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება, ადამიანების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფასთან ერთად, ითვალისწინებს სასაზღვრო კონტროლთან, თავშესაფარსა და იმიგრაციასთან დაკავშირებული ზომებისა და მესამე ქვეყნის მოქალაქეების თავშესაფრის, იმიგრაციისა და უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზომების მიღებას.

(2) ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებული ზომები საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა დოკუმენტში გათვალისწინებულ ოჯახის დაცვასა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის ვალდებულების შესაბამისად უნდა იყოს მიღებული. წინამდებარე დირექტივა პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს და განსაკუთრებით იცავს ადამიანის უფლებათა და ძირითად

თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლითა და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით აღიარებულ პრინციპებს.

(3) 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს, ქ. ტამპერეში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე, ევროსაბჭომ აღიარა მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ქვეყანაში დაშვებისა და ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საჭიროება. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა და გაატაროს ინტეგრაციის უფრო ძლიერი პოლიტიკა, რათა მათ ევროკავშირის მოქალაქეთა მსგავსი უფლებები და ვალდებულებები მიენიჭოთ. შესაბამისად, ევროსაბჭომ მიმართა ევროკავშირის საბჭოს, რომ ევროკომისიის წინადადებების საფუძველზე სამართლებრივი აქტები მიეღო. აღნიშნულ შეხვედრაზე გამოთქმული მიზნების მიღწევის აუცილებლობა 2001 წლის 14 და 15 დეკემბერს, ლაკენში გამართულ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა.

(4) ოჯახური ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობა ოჯახის ერთიანობაა. ეს სოციალურ-კულტურული სტაბილურობის ჩამოყალიბებას ეხმარება, რაც წევრ სახელმწიფოებში მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ინტეგრაციასა და ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებაში აღნიშნულ ძირითად მიზანს, ეკონომიკურ და სოციალურ ერთობას უწყობს ხელს.

(5) წევრმა სახელმწიფოებმა დირექტივის დებულებები უნდა განახორციელონ სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, გენეტიკური ფაქტორების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, წარმატების, წარმოშობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკისა თუ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

(6) ოჯახის დაცვისა და ოჯახური ცხოვრების შექმნის თუ შენარჩუნების მიზნით, ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობისათვის მატერიალური პირობები საერთო კრიტერიუმების საფუძველზე უნდა განისაზღვროს.

(7) წევრ სახელმწიფოებს წინამდებარე დირექტივის გამოყენება ოჯახის მიერ ქვეყანაში ერთად შესვლის შემთხვევაშიც უნდა შეეძლოთ.

(8) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლტოლვილთა მდგომარეობასა და მიზეზებს, რომლებმაც მათ საკუთარი ქვეყნის დატოვება და ნორმალურ ოჯახურ ცხოვრებაზე უარის თქმა აიძულა. შესაბამისად, მათ მიერ ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობაზე უფრო ხელსაყრელი პირობები უნდა ჩამოყალიბდეს.

(9) ოჯახის გაერთიანება ნებისმიერ შემთხვევაში ნუკლეარული ოჯახის წევრებს, ანუ მეუღლესა და არასრულწლოვან შვილებს უნდა ეხებოდეს.

(10) წევრმა სახელმწიფოებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა ოჯახის გაერთიანებაზე უფლება მიანიჭონ, პირდაპირი აღმავალი ხაზის ნათესავებს, ქორწინებაში

არმყოფ სრულწლოვან შვილებს, ქორწინებაში არმყოფ ან რეგისტრირებულ პარტნიორებსა და, პოლიგამიური ქორწინების შემთხვევაში, სპონსორისა და დამატებითი მეუღლის არასრულწლოვან შვილებს. როცა ერთი რომელიმე წევრი სახელმწიფო აღნიშნულ პირებს ოჯახის გაერთიანების უფლებას აძლევს, ეს არ აყენებს ზიანს სხვა წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობას, რომ აღნიშნულ პირებს არ მიანიჭონ ევროკომისიის შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება ოჯახის წევრების სხვა წევრ სახელმწიფოში ცხოვრების შესახებ, თუ ეს წევრი სახელმწიფოები არ აღიარებენ ოჯახურ კავშირებს, როგორც ეს წინამდებარე რეგულაციით არის გათვალისწინებული.

(11) ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობა სათანადოდ უნდა შეესაბამებოდეს წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებულ ღირებულებებსა და პრინციპებს, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების უფლებების შემთხვევაში; ამგვარი შესაბამისობა პოლიგამიური ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებულ განცხადებებთან მიმართებით შეზღუდული ზომების მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

(12) 12 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებზე (რომელთა ძირითადი საცხოვრებელი ადგილი არ არის სპონსორთან) ოჯახის გაერთიანების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა გამიზნულია იმისათვის, რომ ბავშვების ადრეულ ასაკში ინტეგრაციის უნარი გამოხატოს და სკოლაში აუცილებელი განათლებისა და ენობრივი უნარების შექმნა უზრუნველყოს.

(13) უნდა დადგინდეს წესები, რომელიც ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვის, ოჯახის წევრების ქვეყანაში შესვლისა და ბინადრობის პროცედურებს მოაწესრიგებს. აღნიშნული პროცედურები ქმედითი და, წევრი სახელმწიფოების ადმინისტრაციულ ორგანოთა ნორმალური სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით, ადვილად მართვადი, გამჭირვალე და სამართლიანი უნდა იყოს.

(14) ოჯახის გაერთიანებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება სათანადოდ უნდა დასაბუთდეს. სახელდობრ, პირი, რომელსაც სურს მიიღოს ოჯახის გაერთიანების უფლება, სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საშიშროებას არ უნდა წარმოადგენდეს. სახელმწიფო პოლიტიკის ცნება შეიძლება მოიცავდეს სერიოზული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელს. ასეთ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ცნება აგრეთვე მოიცავს იმ შემთხვევებს, როცა მესამე ქვეყნის მოქალაქე ტერორიზმის მხარდამჭერ ასოციაციას მიეკუთვნება, ასეთ ასოციაციას მხარს უჭერს ან ექსტრემისტული მისწრაფებები აქვს.

(15) ოჯახის წევრთა ინტეგრაციას ხელი უნდა შეეწყოს. ამ მიზნით, მათ სპონსორისგან დამოუკიდებელი სტატუსი უნდა მიენიჭოთ, განსაკუთრებით, ქორწინების ან პარტნიორული ურთიერთობების შეწყვეტის შემთხვევებში უნდა ჰქონდეთ განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული მომზადების საშუალება იმავე პირობებით, როგორითაც სარგებლობს პირი, რომელთან გაერთიანებაც ხდება, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში.

(16) ვინაიდან წარმოდგენილი ქმედების მიზნები, კერძოდ, მესამე ქვეყნის მოქალაქეთათვის ოჯახის გაერთიანების უფლების დადგენა, რაც საერთო წესების შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს, წევრი ქვეყნების მიერ სრულად ვერ მიიღწევა და, მისი მასშტაბისა და ეფექტების გამო, შესაძლებელია უკეთესად იქნეს მიღწეული ევროპული გაერთიანების დონეზე, გაერთიანებას ხელშეკრულების მე-5 მუხლში ჩამოყალიბებული სუბსიდირების პრინციპის შესაბამისი ზომების მიღება შეუძლია. აღნიშნულ მუხლში მითითებული პროპორციულობის პრინციპის თანახმად, წინამდებარე დირექტივა ამ მიზნების მიღწევისთვის საჭირო ფარგლებს არ სცდება.

(17) გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას და აღნიშნული ოქმის მე-4 მუხლისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ეს წევრი სახელმწიფოები წინამდებარე დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობენ და არ არიან ვალდებული ან დამოკიდებული მის გამოყენებაზე.

(18) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას, დანია წინამდებარე დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობს და არ არის ვალდებული ან დამოკიდებული მის გამოყენებაზე.

მიიღო შემდეგი დირექტივა:

## **თავი I ზოგადი დებულებები**

### **მუხლი 1**

წინამდებარე დირექტივის მიზანია, განსაზღვროს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ ოჯახის გაერთიანების უფლების განხორციელებისათვის საჭირო პირობები.

### **მუხლი 2**

წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის:

(ა) „მესამე ქვეყნის მოქალაქე“ ნიშნავს ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც ხელშეკრულების მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტის განსაზღვრებით ევროკავშირის მოქალაქე არ არის;

(ბ) „ლტოლვილი“ ნიშნავს ნებისმიერ მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც 1951 წლის 28 ივლისის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციის განსაზღვრებით და 1967 წლის 31 იანვარს ქ. ნიუ-ორკში ხელმოწერილი ოქმის საფუძველზე შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით, ლტოლვილის სტატუსით სარგებლობს;

(გ) „სპონსორი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც წევრ სახელმწიფოში კანონიერად ცხოვრობს და რომელიც ან რომლის ოჯახის წევრებიც ოჯახის ერთად ყოფნის მიზნით, სახელმწიფოს მიმართავენ ოჯახის გაერთიანების თხოვნით.

(დ) „ოჯახის გაერთიანება“ ნიშნავს წევრ სახელმწიფოში კანონიერად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრების მიერ ამ წევრ სახელმწიფოში შესვლასა და ცხოვრებას, იმისათვის, რომ დაცული იყოს ოჯახის მთლიანობა, მიუხედავად იმისა, ოჯახური ურთიერთობა რეზიდენტის ქვეყანაში შესვლამდე დაიწყო თუ - მას შემდეგ.

(ე) „ბინადრობის ნებართვა“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მიერ გაცემულ ნებართვას, რომლითაც მესამე ქვეყნის მოქალაქეს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად დარჩენის უფლება აქვს, 2002 წლის 13 ივნისის საბჭოს #1030/2002 რეგულაციის 1-ელი მუხლის 2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეთათვის ბინადრობის ნებართვის ერთიან ფორმატს აყალიბებს (5);

(ვ) „თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი“ ნიშნავს 18 წელზე ნაკლები ასაკის მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემოდის ზრდასრული თანმხლები პირის გარეშე, რომელიც კანონის ან ტრადიციის თანახმად მასზე პასუხისმგებელია და თანმხლები პირის გარეშე მყოფად ითვლება, სანამ მას მზრუნველობას არ გაუწევს ასეთი პიროვნება. აღნიშნული ცნება შესაძლოა ასევე გულისხმობდეს არასრულწლოვანს, რომელიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩამოსვლის შემდეგ დარჩა თანმხლები პირის გარეშე.

### მუხლი 3

1. წინამდებარე დირექტივა გამოიყენება მაშინ, როდესაც სპონსორს აქვს წევრი სახელმწიფოს მიერ მასზე გაცემული ბინადრობის ნებართვა 1 წლის ან მეტი ვადით და აქვს მუდმივი ბინადრობის უფლების მიღების საფუძვლიანი შანსი, იმ შემთხვევაში, თუ მისი ოჯახის წევრები არიან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, ნებისმიერი სტატუსის მიუხედავად.

2. წინამდებარე დირექტივა არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სპონსორი:

(ა) ლტოლვილის სტატუსის აღიარებას მოითხოვს და მის განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა.

(ბ) უფლებამოსილია წევრ სახელმწიფოში დროებითი დაცვის საფუძველზე იცხოვროს ან მიმართავს თხოვნით ამგვარი უფლებით ცხოვრების თაობაზე და მის სტატუსზე შესაბამის გადაწყვეტილებას ელოდება;

(გ) უფლებამოსილია, იცხოვროს წევრ სახელმწიფოში დამატებითი დაცვის საფუძველზე საერთაშორისო ვალდებულებების, ეროვნული კანონმდებლობის ან წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის შესაბამისად ან მიმართავს თხოვნით ამგვარი უფლებით ცხოვრების თაობაზე და შესაბამის გადაწყვეტილებას ელოდება;

3. წინამდებარე დირექტივა ევროკავშირის მოქალაქეების ოჯახის წევრების მიმართ არ გამოიყენება.

4. წინამდებარე დირექტივა არ ზღუდავს შემდეგი დოკუმენტების უფრო ხელსაყრელ პირობებს:

(ა) ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები, გაფორმებული, ერთი მხრივ, ევროპულ გაერთიანებას ან გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის და, მეორე მხრივ, მესამე ქვეყნებს შორის.

(ბ) 1961 წლის 18 ოქტომბრის ევროპის სოციალური ქარტია, 1987 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტია შესწორებებით და 1977 წლის 24 ნოემბრის ევროპული კონვენცია შრომითი მიგრანტების სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

5. წინამდებარე დირექტივა გავლენას ვერ მოახდენს წევრი სახელმწიფოების მიერ უფრო ხელსაყრელი დებულებების/პირობების მიღებისა თუ დაცვის შესაძლებლობაზე.

## თავი II ოჯახის წევრები

### მუხლი 4

1. წინამდებარე დირექტივის თანახმად და IV თავსა და მე-16 მუხლში ჩამოყალიბებული პირობების შესრულების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები თავიანთ ქვეყანაში შესვლისა და ბინადრობის უფლებას აძლევენ ჩამოთვლილ ოჯახის წევრებს:

(ა) სპონსორის მეუღლე;

(ბ) სპონსორის არასრულწლოვანი შვილები და მისი მეუღლე, მათ შორის ის ბავშვები, რომლებიც ნაშვილები იყვნენ წევრი სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ან იმ გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც ავტომატურად უნდა შესრულდეს ამ წევრი სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებით ან აღიარებულ იქნეს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

(გ) სპონსორის არასრულწლოვანი შვილები, შვილად აყვანილი ბავშვების ჩათვლით, რომლებზეც მას აქვს მეურვეობა და რომლებიც დამოკიდებულნი არიან მასზე. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნებართვის გაცემა იმ ბავშვების გაერთიანებაზე, ვიზეც ნაწილდება მეურვეობა, იმ შემთხვევაში, თუ მეურვეობის გამწევი მეორე მხარე თანხმობას განაცხადებს.

(დ) მეუღლის არასრულწლოვანი შვილები, შვილად აყვანილი ბავშვების ჩათვლით, რომლებზეც მეუღლეს აქვს მეურვეობა და რომლებიც დამოკიდებულნი არიან მასზე. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნებართვის გაცემა იმ ბავშვების გაერთიანებაზე, ვიზეც ნაწილდება მეურვეობა, იმ შემთხვევაში თუ მეურვეობის გამწევი მეორე მხარე თანხმობას განაცხადებს.

ამ მუხლში აღნიშნული არასრულწლოვანი ბავშვები უნდა იყვნენ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონით დადგენილ სრულწლოვან ასაკზე ნაკლები წლოვანების და არ უნდა იყვნენ დაქორწინებული.

კანონიდან ნაწილობრივ გადახვევის სახით, როცა ბავშვი 12 წელზე მეტი ასაკისაა და ქვეყანაში ოჯახის სხვა წევრებისგან დამოუკიდებლად ჩადის, წინამდებარე დირექტივის თანახმად, წევრ

სახელმწიფოს შეუძლია, ქვეყანაში შესვლასა და ბინადრობის უფლების მინიჭებამდე, შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ბავშვი ინტეგრაციისათვის საჭირო პირობას, რომელიც წევრი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე დირექტივის განხორციელების მომენტისათვის არის გათვალისწინებული.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, კანონით ან დადგენილებით, ნებართვა გასცენ ქვეყანაში შესვლასა და ცხოვრებაზე, წინამდებარე დირექტივისა და IV თავში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად, ოჯახის შემდეგი წევრებისათვის:

(ა) სპონსორის ან მისი მეუღლის პირდაპირი აღმავალი ხაზის პირველი რიგის ნათესავები, როცა ისინი მათზე არიან დამოკიდებული და, როგორც ოჯახი, მათი წარმოშობის ქვეყანაში სათანადო მხარდაჭერას ვერ იღებენ;

(ბ) სპონსორის ან მისი მეუღლის ზრდასრული, ქორწინებაში არმყოფი შვილები, როცა ისინი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საკუთარი თავის რჩენას რეალურად ვერ ახერხებენ.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, კანონის ან რეგულაციის მეშვეობით, ქვეყანაში შესვლისა და ცხოვრების ნებართვა, წინამდებარე დირექტივისა და IV თავში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად, შემდეგ პირებზე გასცენ: ქორწინებაში არმყოფი პარტნიორი, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა და რომელთანაც სპონსორს სათანადოდ დადასტურებული სტაბილური ხანგრძლივი ურთიერთობა აქვს ან მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სპონსორთან რეგისტრირებული პარტნიორული ურთიერთობით, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არის დაკავშირებული და ასეთი პირების ქორწინებაში არმყოფი არასრულწლოვანი შვილები, შვილად აყვანილი ბავშვების ჩათვლით, აგრეთვე, ზრდასრული ქორწინებაში არმყოფი შვილები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საკუთარი თავის რჩენას რეალურად ვერ ახერხებენ.

ოჯახის ერთიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რამდენად თანაბარუფლებიანად უნდა ითვლებოდნენ რეგისტრირებული პარტნიორები და მეუღლეები.

4. პოლიგამიური ქორწინების შემთხვევაში, როცა სპონსორთან ერთად წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკვე ცხოვრობს ერთი მეუღლე, ეს წევრი სახელმწიფო ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებით ნებართვას სხვა დამატებითი მეუღლისათვის არ გასცემს.

1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან გადახვევის სახით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ოჯახის გაერთიანების უფლება სპონსორისა და სხვა დამატებითი მეუღლის არასრულწლოვან შვილებთან მიმართებით შეზღუდონ.

5. უკეთესი ინტეგრაციისათვის და იძულებითი ქორწინების თავიდან აცილების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მოითხოვონ, რომ სპონსორი და მისი მეუღლე მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს აკმაყოფილებდნენ და იყვნენ მაქსიმუმ 21 წლის, სანამ სპონსორს მეუღლე შეუერთდება.

6. კანონიდან გადახვევის გზით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ არასრულწლოვანი შვილების ოჯახურ გაერთიანებასთან დაკავშირებული განცხადებები წარმოდგენილ იყოს 15 წლის ასაკამდე, როგორც წევრი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით წინამდებარე დირექტივის განხორციელების თარიღისათვის არის გათვალისწინებული. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება წარდგენილია 15 წელზე მეტი ასაკის ბავშვებზე, წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც კანონიდან ამგვარ გადახვევაზე იღებენ გადაწყვეტილებას, შეუძლიათ, ასეთ ბავშვებს ქვეყანაში შესვლისა და ცხოვრების ნებართვა არა ოჯახის გაერთიანების, არამედ სხვა საფუძველზე მისცენ.

### თავი III განცხადების წარდგენა და განხილვა

#### მუხლი 5

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ, ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობისათვის, ქვეყანაში შესვლასა და ბინადრობის მოთხოვნაზე განცხადებას წევრი სახელმწიფოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში სპონსორი წარადგენს თუ ოჯახის წევრი ან წევრები.

2. განცხადებას თან უნდა ახლდეს ოჯახური ურთიერთკავშირისა და მე-4 და მე-6 მუხლებში და, საჭიროებისამებრ, მე-7 და მე-8 მუხლებში ჩამოყალიბებული პირობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აგრეთვე, ოჯახის წევრის/წევრების სამგზავრო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

საჭიროების შემთხვევაში, ოჯახური ურთიერთკავშირის შესახებ მტკიცებულების მისაღებად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, სპონსორსა და მის ოჯახის წევრებთან გასაუბრება გამართონ და, საჭიროებისამებრ, სხვა სახის გამოძიებაც განახორციელონ.

სპონსორის ქორწინებაში არმყოფ პარტნიორთან დაკავშირებული განცხადების განხილვისას, წევრი სახელმწიფოები ოჯახური ურთიერთკავშირის მტკიცებულებებზე ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა საერთო შვილი, ადრინდელი თანაცხოვრება, პარტნიორული ურთიერთობის რეგისტრაცია და ნებისმიერი სხვა სარწმუნო მტკიცებულება.

3. განცხადების წარდგენა და განხილვა ხდება მაშინ, როცა ოჯახის წევრები იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, რომელშიც სპონსორი ცხოვრობს.

კანონიდან გადახვევის სახით, შესაბამის გარემოების გათვალისწინებით, წევრ სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს განცხადება მაშინ, როცა ოჯახის წევრები უკვე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებიან.

4. წევრი სახელმწიფოს შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა განცხადების წარმდგენ პირს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე წერილობითი შეტყობინება რაც შეიძლება მალე და, ნებისმიერ შემთხვევაში, განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 9 თვის განმავლობაში უნდა გადასცენ.



განცხადების განხილვის სირთულესთან დაკავშირებულ გამონაკლის შემთხვევებში, პირველ აბზაცში აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს.

გადაწყვეტილება განცხადებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესაბამისად დასაბუთებული უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ ვადაში არ იქნება მიღებული, მის შედეგებს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა განსაზღვრავს.

5. განცხადების განხილვისას, წევრმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ არასრულწლოვან ბავშვთა ინტერესები.

თავი IV ოჯახის გაერთიანების უფლების განხორციელებისათვის საჭირო მოთხოვნები

#### მუხლი 6

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ოჯახის წევრების ქვეყანაში შესვლასა და ცხოვრებასთან დაკავშირებით წარდგენილ განცხადებაზე სახელმწიფო პოლიტიკის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძველზე უარი თქვან.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, სახელმწიფო პოლიტიკის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძველზე, ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვა გააუქმონ ან მის გაგრძელებაზე უარი თქვან.

შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას, წევრმა სახელმწიფომ მე-17 მუხლის გარდა უნდა გაითვალისწინოს, ოჯახის წევრის მიერ სახელმწიფო პოლიტიკის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე ან სახე, ან ის საფრთხე, რომელიც ამ პიროვნებიდან მოდის.

3. წევრი სახელმწიფოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს ბინადრობის ნებართვის გაგრძელებაზე უარის თქმა და პიროვნების ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანაზე ბრძანების გაცემა არ შეუძლია მხოლოდ ავადმყოფობის ან შრომისუუნარობის საფუძველზე, რომელიც ბინადრობის ნებართვის გაცემის შემდეგ დადგა.

#### მუხლი 7

1. ოჯახის გაერთიანების მოთხოვნის მიზნით განცხადების წარდგენისას, შესაბამის წევრ სახელმწიფოს შეუძლია, განცხადების წარმდგენი პირისაგან მოითხოვოს დადასტურება, რომ სპონსორს:

(ა) გააჩნია საცხოვრებელი ბინა, რომელიც ითვლება იმ რეგიონში სტანდარტულ საცხოვრებლად სხვა ოჯახების მსგავსად და ამ წევრ სახელმწიფოში დადგენილ ჰიგიენურ-სანიტარულ და უსაფრთხოების ნორმებს აკმაყოფილებს;

(ბ) ავადმყოფობის შემთხვევაში თავისთვის და ოჯახის წევრებისათვის აქვს დაზღვევა ყველა იმ რისკზე, რომელსაც, როგორც წესი, ეს წევრი სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების შემთხვევაში ფარავს;

(გ) გააჩნია სტაბილური და რეგულარული სახსრები, რომლებიც საკმარისია საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების რჩენისათვის, ისე, რომ არ სჭირდებოდეს ამ წევრი სახელმწიფოს სოციალური დახმარების სისტემის დახმარებისთვის მიმართვა. წევრმა სახელმწიფოებმა ასეთი სახსრები მათი ხასიათისა და რეგულარობის თვალსაზრისით უნდა შეაფასონ და სახელმწიფო ხელფასებისა და პენსიის მინიმალური დონე და ოჯახის წევრთა რაოდენობა გაითვალისწინონ.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, სახელმწიფო კანონის შესაბამისად, მესამე ქვეყნის მოქალაქეებისაგან ინტეგრაციის ზომების დაცვა მოითხოვონ.

მე-12 მუხლში აღნიშნულ ლტოლვილთა და/ან მათ ოჯახის წევრებთან მიმართებით, ზემოაღნიშნული ინტეგრაციის ზომების გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც ეს პირები ოჯახის გაერთიანების უფლებას მიიღებენ.

## მუხლი 8

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, სპონსორს, მისი ოჯახის წევრების მასთან ჩასვლამდე მათი ქვეყნის ტერიტორიაზე არაუმეტეს 2 წლის განმავლობაში კანონიერად ცხოვრება მოსთხოვონ.

კანონიდან გადახვევის სახით, როცა წინამდებარე დირექტივის მიღების მომენტისათვის ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით მიღების შესაძლებლობა გათვალისწინებულია, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ოჯახის გაერთიანებაზე განცხადების წარდგენიდან ოჯახის წევრებისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემამდე მოცდის პერიოდად არაუმეტეს 3 წლის ვადა განსაზღვროს.

## თავი V ლტოლვილთა ოჯახის გაერთიანება

### მუხლი 9

1. წინამდებარე თავი წევრ სახელმწიფოთა მიერ აღიარებულ ლტოლვილთა ოჯახის გაერთიანებას ეხება.
2. წევრ სახელმწიფოებმა ამ თავის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ ლტოლვილებისთვის უზრუნველყონ, რომელთაც ოჯახური ურთიერთობები ქვეყანაში შესვლამდე ჰქონდათ.
3. წინამდებარე თავი ოჯახის წევრებისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ არცერთ წესს არ არღვევს.

## მუხლი 10

1. ოჯახის წევრების განსაზღვრებისთვის გამოიყენება მე-4 მუხლი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებს ეხება; აღნიშნულ შემთხვევებზე მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი არ ვრცელდება.
2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ოჯახის ერთიანობის უფლება ოჯახის იმ სხვა წევრებს მიანიჭონ, რომლებიც მე-4 მუხლში არ არიან გათვალისწინებული, თუ ისინი ლტოლვილის სტატუსის მქონე პირზე არიან დამოკიდებულნი.

3. თუ ლტოლვილი თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანს წარმოადგენს, წევრი სახელმწიფო:

(ა) ოჯახის გაერთიანების მიზნით, ქვეყანაში შესვლისა და ცხოვრების უფლებას ანიჭებს ასეთი ლტოლვილის პირდაპირი აღმავალი ხაზის პირველი რიგის ნათესავებს, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პირობების გარეშე;

(ბ) ოჯახის გაერთიანების მიზნით, ქვეყანაში შესვლისა და ცხოვრების უფლებას ანიჭებს ასეთი ლტოლვილის კანონიერ მეურვეს ან ოჯახის სხვა ნებისმიერ წევრს, როცა ამ ლტოლვილს პირდაპირი აღმავალი ხაზის არცერთი ნათესავი არ ჰყავს ან ასეთი ნათესავის მოძებნა ვერ ხდება.

### მუხლი 11

1. განცხადების წარდგენასა და განხილვასთან დაკავშირებით გამოიყენება მე-5 მუხლი, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით.

2. თუ ლტოლვილი ვერ წარადგენს ოჯახური ურთიერთკავშირის დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტაციას, წევრი სახელმწიფოები ნათესაური კავშირის არსებობის სხვა დამადასტურებელ მტკიცებულებებს გაითვალისწინებენ, რომელთა შეფასებაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხდეს. განცხადებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ ამგვარი დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობას არ უნდა ეფუძნებოდეს.

### მუხლი 12

1. მე-7 მუხლის ნაწილობრივ გაუქმების სახით, წევრი სახელმწიფოები ლტოლვილ პირს და/ან მისი ოჯახის წევრს/წევრებს, მე-4 მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილ ოჯახის წევრებთან დაკავშირებით წარდგენილ განცხადებებზე იმის დასაბუთებას არ მოსთხოვენ, რომ ლტოლვილი პირი მე-7 მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის გარეშე, როცა ოჯახის გაერთიანება შესაძლებელია მესამე ქვეყანაში, რომელთანაც სპონსორს და/ან ოჯახის წევრს განსაკუთრებული კავშირები აქვს, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, პირველ პუნქტში ნახსენები მტკიცებულების წარდგენა მოითხოვოს.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ ლტოლვილი პირისგან, რომ ის მე-7 მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს აკმაყოფილებდეს, თუ ოჯახის გაერთიანებაზე განცხადება ლტოლვილის სტატუსის მინიჭებიდან 3 თვის ვადაში არ იქნა წარდგენილი.

2. მე-8 მუხლის ნაწილობრივ გაუქმების სახით, წევრი სახელმწიფოები ლტოლვილს, ოჯახის წევრების მასთან ჩასვლამდე, გარკვეული ვადით მათ ტერიტორიაზე ცხოვრებას არ ავალდებულებენ.

## თავი VI წევრ სახელმწიფოში ოჯახის წევრთა შესვლა და ბინადრობა

### მუხლი 13

1. ოჯახის გაერთიანებაზე მოთხოვნის განცხადების მიღებისთანავე, წევრი სახელმწიფო ოჯახის წევრს ან წევრებს მისი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას აძლევს. ამასთან დაკავშირებით, წევრმა სახელმწიფომ ამ პიროვნებებს საჭირო ვიზების მისაღებად ყველანაირი შესაძლებლობა უნდა მისცეს.
2. წევრი სახელმწიფო ოჯახის წევრებს ბინადრობის პირველ ნებართვას, სულ მცირე, 1 წლის ვადით აძლევს. შემდგომ ხდება ბინადრობის ნებართვის ვადის გახანგრძლივება.
3. ოჯახის წევრებისათვის გაცემული ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა სპონსორისათვის მინიჭებული ბინადრობის ნებართვის ბოლო ვადას არ უნდა აღემატებოდეს.

### მუხლი 14

1. სპონსორის ოჯახის წევრებს, სპონსორის მსგავსად, შემდეგი უფლებები აქვთ :
  - (ა) განათლების მიღების შესაძლებლობა;
  - (ბ) დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობა;
  - (გ) პროფესიულ ორიენტაციაზე კონსულტაცია, საწყისი და შემდგომი პროფესიული მომზადება და გადამზადება.
2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრონ ის პირობები, რომელთა მიხედვითაც ოჯახის წევრები თავიანთ შრომით საქმიანობასა თუ ინდივიდუალურ საქმიანობას განახორციელებენ. ასეთი პირობების თანახმად, დაწესდება ვადა არაუმეტეს 12 თვისა და, ამ ხნის განმავლობაში, წევრ სახელმწიფოებს ოჯახის წევრებისათვის დასაქმებისა და საკუთარი ინდივიდუალური საქმიანობით დაკავების უფლების მინიჭებამდე, თავიანთი შრომითი ბაზრის მდგომარეობის შესწავლის საშუალება ექნებათ.
3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, პირდაპირი აღმავალი ხაზის პირველი რიგის ნათესავებს ან ზრდასრულ, ქორწინებაში არმყოფ შვილებს, რომლებსაც მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი ეხება, დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობა შეუზღუდონ.

### მუხლი 15

1. არაუმეტეს 5 წლის ბინადრობის ვადის გასვლის შემდეგ და იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრს ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების გარდა სხვა მიზეზების გამო არ მიეცა, მეუღლეს ან ქორწინებაში არმყოფ პარტნიორსა და შვილს, რომელმაც სრულწლოვანებას მიაღწია, აქვთ უფლება, განცხადების საფუძველზე, საჭიროებისამებრ, ბინადრობის ავტონომიური ნებართვა სპონსორისგან დამოუკიდებლად მიიღონ.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ოჯახური კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში, პირველ აბზაცში მითითებულ მეუღლესა თუ ქორწინებაში არმყოფ პარტნიორს ბინადრობის ნებართვის მინიჭება შეუზღუდონ.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გასცენ ბინადრობის ავტონომიური ნებართვა სრულწლოვან შვილებზე და პირდაპირი აღმავალი ხაზის ნათესავებზე, რომელთა მიმართაც მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი გამოიყენება.

3. დაქვრივების, განქორწინების, დაშორების ან პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი ხაზის პირველი რიგის ნათესავების გარდაცვალების შემთხვევაში, ბინადრობის ავტონომიური ნებართვა შეიძლება განცხადების საფუძველზე, საჭიროებისამებრ, გაიცეს იმ პირებზე, რომლებიც ოჯახის გაერთიანების საფუძველზე არიან ჩამოსულნი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ის დებულებები, რომლებიც განსაკუთრებით რთულ გარემოებებში ბინადრობის ავტონომიური ნებართვის გაცემას უზრუნველყოფს.

4. ბინადრობის ავტონომიური ნებართვის მინიჭებასა და მოქმედების ვადასთან დაკავშირებულ პირობებს ეროვნული კანონმდებლობა ადგენს.

## თავი VII სანქციები და უფლების აღდგენა

### მუხლი 16

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ოჯახის გაერთიანების მიზნით ქვეყანაში შესვლასა და ბინადრობასთან დაკავშირებულ განცხადებაზე უარი თქვან ან, საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვა გააუქმონ ან უარი თქვან მის გაგრძელებაზე შემდეგ შემთხვევებში:

(ა) როდესაც არ/აღარ ხდება წინამდებარე დირექტივაში ჩამოყალიბებული პირობების შესრულება.

ბინადრობის ნებართვის გაგრძელებისას, როცა სპონსორს არ გააჩნია საკმარისი სახსრები, წევრი სახელმწიფოს სოციალური დახმარების სისტემისათვის მიმართვის გარეშე, როგორც ეს მე-7 მუხლის 1-ელი მუხლის „გ“ ქვეპუნქტშია მითითებული, წევრმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ოჯახის წევრთა შემოსავალი;

(ბ) როდესაც სპონსორს და მისი ოჯახის წევრს/წევრებს არ/აღარ აქვთ ცოლ-ქმრული ურთიერთკავშირი ან ოჯახური ურთიერთობა;

(გ) როდესაც აღმოჩნდება, რომ სპონსორი ან მისი ქორწინებაში არმყოფი პარტნიორი დაქორწინებულია ან აქვს სტაბილური და ხანგრძლივი ურთიერთობა სხვა პიროვნებასთან.

2. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ, უარი თქვან ოჯახის გაერთიანების მიზნით მათ ქვეყანაში შესვლასა და ბინადრობასთან დაკავშირებულ განცხადებაზე, გააუქმონ ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვა ან უარი თქვან მის გაგრძელებაზე, როცა აღმოჩნდება, რომ:

(ა) გამოყენებულ იქნა არასწორი ან ცრუ ინფორმაცია, ყალბი ან ძალის არმქონე დოკუმენტები, ადგილი ჰქონდა თაღლითობას ან გამოყენებულ იქნა სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო საშუალებები;

(ბ) ქორწინების, პარტნიორობის ან პირის შვილად აყვანის გაფორმება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული პიროვნების წევრ სახელმწიფოში შეყვანისა და ცხოვრების მიზნით.

აღნიშნულ საკითხზე შეფასების გაკეთებისას, წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, როცა ქორწინების, პარტნიორობის ან პირის შვილად აყვანის გაფორმება სპონსორის მიერ ბინადრობის ნებართვის მიღების შემდეგ ხდება.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვა გააუქმონ ან უარი თქვან მის გაგრძელებაზე, როცა სპონსორის ბინადრობის ვადა იწურება და ოჯახის წევრი ჯერ არ სარგებლობს ბინადრობაზე ავტონომიური უფლებით, მე-15 მუხლის თანახმად.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაკუთრებული შემოწმება და გამოკვლევა ჩაატარონ, როდესაც არსებობს ეჭვი იმისა, რომ ადგილი აქვს თაღლითობას ან ქორწინებას, პარტნიორობას ან შვილად აყვანის ფაქტს მე-2 პუნქტში აღნიშნული განზრახვით. აგრეთვე, სპეციალური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს ოჯახის წევრთა ბინადრობის ნებართვის გაგრძელებასთან დაკავშირებითაც.

### **მუხლი 17**

განცხადებაზე უარის თქმის, ბინადრობის ნებართვის გაუქმების ან გაგრძელებაზე უარის თქმის ან სპონსორისა და მისი ოჯახის წევრების ქვეყნიდან გაყვანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, წევრმა სახელმწიფოებმა პიროვნების ოჯახური ურთიერთობების ბუნება და სიმტკიცე, მისი წევრ სახელმწიფოში ბინადრობის ხანგრძლივობა და ოჯახის არსებობა, თავის წარმოშობის ქვეყანასთან კულტურული და სოციალური კავშირები უნდა გაითვალისწინონ.

### **მუხლი 18**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სპონსორს და/ან მის ოჯახს, ოჯახის გაერთიანების მიზნით წარდგენილ განცხადებაზე უარის, მის გაგრძელებაზე უარის ან ბინადრობის ნებართვის გაუქმების, ისევე, როგორც ქვეყნიდან მათ გაყვანაზე გაცემული ბრძანების სამართლებრივად გასაჩივრების უფლება ჰქონდეთ.

წევრი სახელმწიფოები თვითონ ადგენენ იმ წესებსა და უფლებამოსილებას, რის მიხედვითაც ზემოაღნიშნული უფლებით სარგებლობა მოხდება.

## თავი VIII დასკვნითი დებულებები

### მუხლი 19

პერიოდულად და, პირველად არაუგვიანეს 2007 წლის 3 ოქტომბრისა, ევროკომისიამ ევროპარლამენტსა და საბჭოს, წევრ სახელმწიფოებში წინამდებარე დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით ანგარიში და, საჭიროების შემთხვევაში, შესწორებები უნდა წარუდგინოს. შესწორებებთან დაკავშირებული წინადადებები პრიორიტეტულად, მე-3, მე-4, მე-7, მე-8 და მე-13 მუხლებთან მიმართებით გაკეთდება.

### მუხლი 20

წინამდებარე დირექტივის შესრულებისათვის საჭირო კანონები, ნორმატიული აქტები და ადმინისტრაციული დებულებები წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ამოქმედონ არაუგვიანეს 2005 წლის 3 ოქტომბრისა. ამის შესახებ მათ კომისიას დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ.

წევრი სახელმწიფოების მიერ ასეთი ზომების მიღებისას, მათში უნდა გაკეთდეს მითითება წინამდებარე დირექტივაზე ან თან ახლდეს ასეთი მითითება, მათი ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში. აღნიშნული მითითების ჩამოყალიბება წევრი სახელმწიფოების მიერ ხდება.

### მუხლი 21

წინამდებარე დირექტივა კანონიერ ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღიდან.

### მუხლი 22

წინამდებარე დირექტივა განკუთვნილია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის, ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების თანახმად.

შედგენილია ბრიუსელში, 2003 წლის 22 სექტემბერს.

საბჭოს სახელით

ფ. ფრატინი

(1) OJ C 116 E, 26.4.2000, გვ. 66, და OJ C 62 E, 27.2.2001, გვ. 99.

(2) OJ C 135, 7.5.2001, გვ. 174.

(3) OJ C 204, 18.7.2000, გვ. 40.

(4) OJ C 73, 26.3.2003, გვ. 16.

(5) OJ L 157, 15.6.2002, გვ. 1.